

არქეოლოგია

მაგისტრატურა

1. ქართული ეპიგრაფიკა / Georgian Epigraphic

კურსის მაგისტრანტებს შეასწავლის უმთავრეს ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ასწავლის უთარილო წარწერების დათარიღების მეთოდებსა და ჩაატარებინებს ყოველმხრივ წყაროთმცოდნეობით და პალეოგრაფიულ ანალიზს.

2. არქეოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდები I / Methods of Archaeological Researches 1

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები დაეუფლებიან არქეოლოგიური კვლევების მეთოდებს. არქეოლოგიური კვლევა-ძიება: დაზვერვები, გათხრები, ლაბორატორიული სამუშაოები და მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია, სპეციფიური არქეოლოგიური მეთოდის კარგი ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია. სალექციო კურსის მიზანია მაგისტრანტებს გააცნოს არქეოლოგიური კვლევის აპრობირებული ემპირიული და თეორიული, ინტერდისციპლინარული და ვიწრო დარგობრივი მეთოდები.

3. არქეოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდები II/ Methods of Archaeological Researches II

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები დაეუფლებიან არქეოლოგიური კვლევების მეთოდებს. ამ მეთოდების ცოდნა აუცილებელია არქეოლოგიის სპეციალისტებისათვის. მისი დაუფლებისათვის კი აუცილებელია კარგი თეორიული მომზადებისა და სავსე-პრაქტიკული საქმიანობის ერთობლიობა. სალექციო კურსის მიზანია მაგისტრანტებს გააცნოს არქეოლოგიური კვლევის აპრობირებული ემპირიული და თეორიული, ინტერდისციპლინარული და ვიწრო დარგობრივი მეთოდები და ამ მეთოდებით ოპერირების მიზანშეწონილება დასახული მიზნის მისაღწევად.

4. ეკოლოგიური არქეოლოგია / Ecoarchaeology

კურსის მაგისტრანტებს გააცნობს ეკოლოგიური არქეოლოგიის ასპექტებს. აღნიშნული საგნის სწავლებისას შეისწავლება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: შესავალი ეკოლოგიურ არქეოლოგიაში, ეკოლოგიური არქეოლოგიის ობიექტი და საგანი, ეკოლოგიურ-არქეოლოგიური კვლევების ისტორია, ეკოლოგიის თეორიული დებულებები როგორც ეკოლოგიური არქეოლოგიის საფუძველი, ნიადაგმცოდნეობა როგორც ეკოლოგიური არქეოლოგიის შემადგენელი ნაწილი.

5. ელინიზმი და საქართველო / Hellenism and Georgia

კურსი მაგისტრანტებს მისცემს ცოდნას ძვ.წ. IV-I საუკუნეების საქართველოსა და შავიზღვისპირეთის არქეოლოგიაში. გარდა ამისა, გააცნობს იმ პრობლემებს, რომლებიც არსებობს ელინისტური ხანის მატერიალური კულტურის გენეზისის ან გავრცელებისა და დეგრადაციის საკითხების კვლევის სფეროში. სტუდენტები შეისწავლიან საქართველოს ძვ.წ. IV-I საუკუნეების კულტურის არსს და გაერკვევიან მის ადგილში ძველი საბერძნეთის, აგრეთვე აღმოსავლეთის არქეოლოგიურ კულტურათა კონტექსტში.

6. ეთნოარქეოლოგია / Ethnoarchaeology

კურსი გააცნობს მაგისტრანტებს ეთნოარქეოლოგიის არსს, მის მიღწევებს; კურსი "შესავალი ეთნოარქეოლოგიაში" სრულიად ახალი მიმართულებაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპაში. განხილული იქნება ისეთი ფენომენი, როგორცაა ადამიანის მიერ შექმნილი სულიერი და ნივთიერი ღირებულებების ერთიანობა ანუ კულტურა. ეს კურსი შეიძლება იყოს ერთ-ერთი რგოლი ეთნოარქეოლოგების კადრების მომზადების დროსაც და არქეოლოგების და ეთნოლოგების მომზადების სფეროს გაფართოებაშიც.

7. გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში / Geophysical Methods in Archaeology

კურსი გააცნობს მაგისტრანტებს საძიებო გეოფიზიკის იმ ძირითად მეთოდებს, რომლებიც განაპირობებს ეფექტურ არქეოგეოფიზიკურ კვლევებს. გააცნობს იმ საწყის ფიზიკურ კანონებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ მეთოდების თეორიას; შესძლოს კონკრეტულ შემთხვევაში კვლევის ყველაზე ეფექტური გეოფიზიკური მეთოდის შერჩევა.

8. კლასიკური არქეოლოგია (ნაწილი I, ბერძნული კულტურა) / Classical Archaeology (part I, Greece Culture)

კურსი შედგება ორი ნაწილისაგან: საბერძნეთის და რომის არქეოლოგია. კურსის მიზანია, მაგისტრანტებს გააცნოს კლასიკური ხანის ნივთიერი კულტურა უმთავრესი არქეოლოგიური ძეგლები. აგრეთვე ანტიკური არქეოლოგიის დარგში ჩატარებული ჩატარებული კვლევა ძიების ძირითადი მიღწევები.

9. ლითონის არტეფაქტების ტექნოლოგიები / Technology of Metal Artifacts

სალექციო კურსი გააცნობს მაგისტრანტებს ლითონის ნაწარმის ტექნოლოგიურ მახასიათებლების შესწავლის საკითხებს. ლითონის ნაწარმი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად და უმნიშვნელოვანეს წყაროს იმ პროცესების შესასწავლად, რომელშიც ასახულია ძველი კავკასიის, კერძოდ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების საფეხურები.

10. ბრინჯაოს ეპოქის კავკასიის არქეოლოგია A A Caucasian Bronze Age Archaeology

სამაგისტრო კურსი მაგისტრანტებს მისცემს თანმიმდევრულ და ღრმა ცოდნას კავკასიის ბრინჯაოს ეპოქის არქეოლოგიის საკვანძო პრობლემატიკაზე. მოცემული კურსის მთავარი კონცეფცია არის ის, რომ მაგისტრანტმა საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებულ პრეისტორიულ ხანაში მიმდინარე კულტურული პროცესები გაიაზროს არა იზოლირებულად, არამედ კავკასიის ერთიანი სივრცის ფარგლებში მომხდარ მოვლენებთან კონტექსტში.

11. პრეისტორიული ეპოქის მხატვრული ხელოსნობა Artistic Craft of the Prehistoric Period

სალექციო კურსი მაგისტრანტებს მისცემს ცოდნას წინა აზიისა და კავკასიის მხატვრული ხელოსნობის ნიმუშების საგანგებოდ შესწავლის საქმეში, რომელთაც საგანგებო ღირებულება აქვთ ამ სივრცეში არსებული კულტურების მართებულად გააზრებისათვის. ამ ეპოქის კულტურების შესწავლის მიზანია სამხრეთ კავკასიის ადგილის განსაზღვრა პრეისტორიული ახლო აღმოსავლეთის კულტურულ-საზოგადოებრივი განვითარების სისტემაში მხატვრული ხელოსნობის მასალების საფუძველზე.

12. არქეოლოგია და სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტი/ Archaeology and Scientific Projects Managment

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან იმ პროექტების შედგენას, რომელთა მეშვეობით უნდა მოხდეს მათი მომავალი სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის

დაფინანსება. საძველეთა კვლევა, საზოგადოდ, უნდა წარიმართოს ყველა თანამედროვე ტექნიკური მიღწევის გამოყენებით. სტუდენტს უნდა მიეცეს საწყისი ცოდნა: - სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამების შესახებ, რომლებიც თანამედროვე მეცნიერული ანალიზის (მათ შორის პროცესების მოდელირების) საშუალებას იძლევა.

13. საქართველოს არქეოლოგია 1/ Georgian Archaeology 1

კურსი მისცემს მაგისტრანტს ცოდნას საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილი და შესწავლილი მრავალფეროვანი, სხვადასხვა ასაკის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ, რომლებშიც ასახულია საქართველოს მიწა-წყალზე ადამიანთა საზოგადოების გაჩენის, ჩამოყალიბების, სოციალოგიურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების რთული მოვლენები, ქვის ხანის ადრეული საფეხურიდან მოკიდებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით.

14. საველე პრაქტიკა

Archaeological Field Practice

სალექციო კურსი მაგისტრანტს მისცემს ცოდნას თანამედროვე არქეოლოგიური ძიებისა და აღმოჩენების თეორიაში, რომელიც ემყარება ორი სახის სიახლეს: ტექნიკური მეცნიერების დარგის განვითარება, არქეოლოგიური კვლევების მეთოდების დახვეწა. უპირველესად კი სტუდენტის მიერ საველე არქეოლოგიური სამუშაოების წარმართვის არტეფაქტთა ორგანიზაციის საკითხების დაუფლება ის საფუძველია, რომლის გარეშეც არქეოლოგის პროფესიონალად ფორმირება შეუძლებელია

15. მათემატიკა და სტატისტიკა არქეოლოგიაში / Mathematics and Statistics in Archaeology

კურსის მიზანია მონაცემთა აღწერა – სიხშირეთა განაწილება, მათი ფორმები, მათი გრაფიკული წარმოდგენა (ჰისტოგრამა, პოლიგონი, ოგივა, წერტილოვანი, სვეტოვანი, მართკუთხედებიანი, ხაზოვანი და წრიული დიაგრამა, ფოთლებიანი ღეროების მსგავსი დიაგრამა).

მონაცემთა აღწერა – ცენტრალური ტენდენციის საზომები, მოდა, მედიანა, საშუალო. მონაცემთა გაფანტულობის საზომები: გაბნევის დიაპაზონი.

პროცენტილები, კვარტილები, დეცილები, რანგები, შერჩევითი დისპერსია და სტანდარტული გადახრა. ვარიაციის კოეფიციენტი. მონაცემთა განაწილების ემპირიული წესი, ნორმალური განაწილება ალბათობა და სტანდარტული ქულები, არე.

დასკვნითი სტატისტიკის საფუძვლები – წერტილოვანი შეფასებები: ჩაუნაცვლებელი და ძალმოსილი შეფასებები. ინტერვალური შეფასება: ნდობის ინტერვალის აგება პოპულაციის საშუალოსათვის.

ორ სიდიდეს შორის დამოკიდებულების საზომები: დაწყვილებული მონაცემები, კორელაცია, პირსონის და სპირმენის კორელაციის კოეფიციენტები. წრფივი კავშირი. რეგრესიის წრფის დადგენა. წინასწარმეტყველების შეცდომა. მრავლობითი რეგრესია. პარამეტრული და არაპარამეტრული კრიტერიუმები. სტატისტიკური ჰიპოთეზები. ნულოვანი და ალტერნატიული ჰიპოთეზები. სტატისტიკური ჰიპოთეზების თვისებები. კრიტერიუმის z -სტატისტიკა. მნიშვნელოვნობის დონე. უარყოფის არე. კრიტიკული მნიშვნელობები.

ჰიპოთეზათა შემოწმება z -კრიტერიუმის გამოყენებით. ერთი შერჩევის t -კრიტერიუმი. თავისუფლების ხარისხი. t შერჩევითი განაწილება. სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება t -კრიტერიუმის გამოყენებით.

სტატისტიკური დასკვნები. პირველი და მეორე გვარის შეცდომები. ნდობის ინტერვალის აგება პოპულაციის საშუალოსათვის t -სტატისტიკის გამოყენებით. ექსპერიმენტის საფუძვლები. კვლევის პროცესის მიმოხილვა.

t -კრიტერიუმი ორი დამოუკიდებელი ჯგუფისათვის. საშუალოთა შორის განსხვავების შემოწმება t -კრიტერიუმის გამოყენებით.

ორი დამოუკიდებელი პოპულაციის საშუალოთა სხვაობისათვის და ორი დამოუკიდებელი პოპულაციის საშუალოთა შორის განსხვავებისათვის ნდობის ინტერვალის აგება t -სტატისტიკის გამოყენებით. არაპარამეტრული სტატისტიკური კრიტერიუმები. სიხშირეთა ანალიზი: χ^2 -კრიტერიუმი. დამოუკიდებლობის χ^2 -კრიტერიუმი. ნიშანთა შეუღლების ცხრილები. მოსალოდნელი სიხშირეები.

თანხმობის χ^2 -კრიტერიუმი. მან-უიტნის U -კრიტერიუმი. სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება მან-უიტნის U -კრიტერიუმის გამოყენებით. უილკოქსონის ნიშნიანი რანგების კრიტერიუმი. სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება უილკოქსონის ნიშნიანი რანგების კრიტერიუმის გამოყენებით.